ქართველთა ამხანაგობის გამოცემა № 33.

# გლოვა

# ირაკლი მეორისა

## თუშ-ფშავ-ხევსურთაგან

ტფილისი

სტამბა წიგ. გამ. ქართვ. ამხანაგ. | Тип. Гр. Изд. Т—ва.

1895



ქართველთა ამხანაგობის გამოცემა № 33.

43654

# გლოვა

# ირაკლი მეორისა

## თუშ-ფშავ-ხევსურთაგან

ტფილისი

სტამბა ქრთ. ამხ. ქართ. ამხანაგობისა ТИП. ГРУЗ. ИЗД. Т—ВА. Л.—МЕЛ. № 13

1895

Доз. ценз. Тифлисъ, 9 сентября 1895 г.



**მეფე ერეკლე**

# გლოვა სანატრელისა და ღვთისადმი განსვე-ნებულისა საქართველოს მეფის

## ირაკლი მეორისა

აღსდეგ, გმირთ-გმირო, ნუ გძინავს,
მტერთა ისმიან ხმანია,
გრძლად მილის ჩვეულ როდის ხარ,
მივიხმე უნჯნი ყმანია;
არ გნახოს მტერმან მაბუნად,
ვჰსდევნოთ, ვაკვეცნეთ თმანია,
ვართ ბრძოლად მათდა მოსულნი,
ზოგთაგან ოთხნი მმანია.

გაშალე დროშა მძლეველი,
წვერ-მახვი, მტერთა ზარია,
მოუმეთა ნახონ ფრიალნი,
მუნ მოსქდეს მთა და ბარია;
ქუხდეს მაყარი, შაშხანა,
ვით ზეცით მეხის გვარია,
განვფანტოთ მტერნი ჩვეულად,
ვასვათ სასმელი მწარია.

განიფთხე მილი, ზე აღსდეგ,
შთაიცვ წვრილ-თვალა რკინისა,
აღილე ხელთა მაყარი,
მტერთა განმბნევი ტვინისა;
წინ მივალთ შენნი მეჭვრენი,
ვითა მეგონნი ლხინისა,
შევჯსვამთ სისხლსაცა მტერთასა,
უტკბეს კახეთის ღვინისა.

მტერს წინ წარვიქცევთ დიაცებრ,
უკან იხედდნენ ველარა,
ყოვლთვის ყოფილა ეს ესრეთ,
ვინ შენზედ დაიკვეხარა;
წარვუღებთ სრულად საუნჯეთ,
მთად ვჰგზავნით, დიაცთ ეხარა;
არ განიღვიძებ, ბატონო?
მოუმეთა რამც გაეხარა.

აღვიღოთ, ძმანო, ფარ-ხმალნი,
ვასმინოთ ჩაჩქანთ ჩხერანი,
დავსხდეთ, დავიწყოთ ღრეობა,
უყვარდის ჩვენნი მღერანი,
ცხენი მზად უდგას გმირთ-გმირსა,
გაზმული ტურფად მერანი,
არ განიღვიძებს, მოსრულ-არს
ბედისა ჩვენის წერანი.

მეფე ერეკლე ჰსცოცხლებდინ
აწცა და უკუნისამდე,
მტერთა თავ-მტეხი მეხისა,
მოყმეთა მცველი აქამდე;
აწ სძინავს ბრძოლით მაშვრალსა
და განიღვიძებს დილამდე,
თუ სადმე წარვალს, წარგვიყვანს,
არღა გაგვიშვებს შინამდე.

გათენდა დილა, ბატონო,
დრო არის მტერთა დასხმისა,
აღკაზმა ცხენთა და ჯორთა
და მათი აღვირ-ასხმისა,
კვეთა თავ-მკლავთა მტერთასა
და სისხლის ველად დასხმისა,
უბრძანე ბუკთა ტკრციალი,
ბანაკით ჯართა განსხმისა.

მზეცა აღმოხდა ქვეყანად,
მაგრამ ჩვენთვის კი ბნელია,
თუ შენ არ გნახავთ კაზმულსა,
ჩვენი შინ წარსვლა ძნელია;
არ ჩვენ ვჰსცრემლეობთ მარტონი,
ჰსტირს შენთვის მთა და ველია,
დავლეწნეთ, ძმანო, ფარ-ხმალნი,
რაღა გვეყრების ხელია.

ვიგლიჯნეთ თმა და ულვაშნი,
თავშიგან ვიცეთ ლოდებით,
მიჩვეულებია ნეტარსა,
წარსულ-არს ღვთისა წოდებით,
შევბღავლოთ ცრემლთა ფრქვევითა,
თუმცა ისმინოს გოდებით,
აწ წახდა ჩვენი ცხოვრება,
გულითაც დავიკოდებით.

რაღადმე გვკიდავნ ფარ-ხმალნი,
უმისოდ ცუდი ბარგია,
დამიწდნენ თოფნი და შუბნი,
მიწათ შეჰსჭამნეს კარგია;
იგი არა გვყავს საჭვრეტლად,
სხვა ვიღა ვსმებნეთ ვარგია,
ჰე წარხდი, ჩვენო ნუგეშო,
დიდებავ, დაგვეკარგია.

წარვიდეთ პირთა ხოკითა,
სახლთა მივუთხრათ გლოვანი,
ვაგლოვნეთ მთანი და კლდენი,
დავოჲლდით ჩალმა წოვანი;
ჩვენთანა ფშავნი, ხევსურნი,—
ყრმანი ჭაბუკნი მხცოვანნი;
ნუ შეგვშრინ ცრემლნი თვალთაგან,
და გულთა მისი ხსოვანი.

დაშთნენ მას მენი, მის მენი,
მათსა ვიტყოდეთ ქებასა,
გმირნი მამაცად აღზრდილნი,
ჰყოფენ კეთილსა ძმობასა,
მტერთა მისცემენ პასუხსა,
მოყმეთა თანახმობასა,
აწ-ღა გამოვსცნათ, მოძმენო,
ვინმცა იქმს ერეკლობასა.

398
3 564

ფასი 1/4 კაპ.